# ანზორ ერქომაიშვილის 80 წლისთავი მთელმა საქართველომ იზეიმა!

ცნობილი მომღერლის, ლოტბარის, კომპოზიტორის, მსოფლიოს სხვადასხვა არქივში დაცული ქართული სიმღერებისა და ხალხური პოლიფონიური შედევრების შემკრების, ნოტებზე გადამტანისა და გამომცემელის, საქართველოსთვის საამაყო ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ დამაარსებელის და სამხატვრო ხელმძღვანელის, ხალხური სიმღერების უბადლო მცოდნისა და შემსრ-ულებელის, მრავალი პრემიის მფლობელის, საქართველოს ხელოვნების დამსხურებული მოღვაწის, თბი-ლისის საპატიო მოქალაქის **ანზორ ერქომაიშვილის** 80 წლისთავი მთელმა საქართველომ იზ-ეიმა. მეტიც, თუ მედიასა და სო-ციალურ ქსელებს გადავხედავთ, ჩვენს დროებაში ერისკაცად მოვლენილი ამ დი-დებული მოღვაწის იუბილეს საერთაშო-რისო რეზონანსი მოჰყვა!

ერთი დღით ადრე ბატონი ანზორი ლანჩხუთში მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში ხუხუნაიშვილების დიდ მომ-ღერალ-მგალობელთა აღდგენილი საფლავების გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო, სადაც ის საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა **სალომე ზურაბიშვილმა** ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

საიუბილეო ღონისძიება კი ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეა-ტრის თალებქვეშ (ოხ, ეს პანდემია!) გაიმართა. 2020 წლის 10 აგვისტო ორმაგად ისტორიული აღმოჩნდა გურ-ულების მთავარი თეატრისთვის, თეატრის ხელმძღვანელობა, დასი და თეატრალ-ური ხელოვნების თაყვანისმცემლები უკეთესს რომ ვერაფერს ინატრებდნენ, ისეთი რამ მოხდა. ეს იყო ახალრეაბილიტირე-ბულ შენობაში პირველი ღონისძიება, პირველი და განსაკუთრებულად განსაკუ-თრებული, რადგან იგი მიეძღვნა დიდ ანზორ ერქომაიშვილს, ჭეშმარიტ მოღვაწეს, რომლის ერთ საყოველთაოდ ცნობილ ციტატაში კარგად ჩანს ქართველი კაცის მისია: „ღირსეულად ატარო შენი გვარის ტრადიცია - დიდი ტვირთია. მომავალი თაობა ისე უნდა აღვზარდოთ, რომ არც საკუთარი თავის შერცხვეთ და არც ჩვენი საფლავები გაუხდეთ სალანძღავი. ბავშვს საითაც წარმართავ, იქით წავა. ბავშვები სიმღერით სინათლისაკენ უნდა წავიყვანოთ.“

იუბილეს ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი **სალ-ომე ზურაბიშვილი,** პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე,** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი,** ფონდ „ქართ-ული გალობის“ დამფ-უძნებელი **ვანო ჩხარტიშვილი,** ადგილობრივი ხელის-უფლების, შემოქმედის ეპარქიის წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები.



*„...ანზორ ერქომაიშვილი, როგორც მოვლენა, ერთია, იშვიათია, განუმეორებელია და უნიკალ-ური. მას თავის სფერ-ოში ბადალი არ ჰყოლია, არ ჰყავს და, სამწ-უხაროდ, არც ეყოლება კარგა ხანს....“* - თავის დროზე ასე შეაფასა თანა-მედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა ქართველმა კომპოზიტორმა **გია ყანჩელმა** ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი ქართ-ული მ-უსიკის ისტორიაში და იგი „ქართ-ული ხალხ-ური მ-უსიკის პატრიარქად“ შერაცხა.

ბატონი ანზორ ერქომაიშვილის დიდი მეცადინეობით შესაძლებელი გახდა ათასობით

▶▶▶ გვ-8


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 21 (10356) 17 აგვისტო 2020 წ. ფასი 60 თეთრი.


## კონჭკათი – თბილი გურული სოფელი



კონჭკათს, თავისი მთაგორიანი რელიეფით, გურული კოლორიტულობით, სტუმარმასპინძლობით, ბევრი სოფელი ვერ შეედრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. მრავალ ჭირვარამგამოვლილი, მაღალი კულტურისა და ზნეობის ამ ისტორიულ სოფელს ყველა დროში მნიშვნელოვნად აზიანებდა და აზარალებდა მეწყერული მოვლენები. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღემდე ძალუმად გრძელდება და როგორც ჩვენმა მასპინძელმა, სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გელა (ტარიელ) აროშიძემ** გვითხრა, 520-კომლიანი სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მეწყერიანობაა. ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შევვხვდა სოფელში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი **ალექსანდრე სირაძე**. მასპინძლობისა და კონჭკათის შესახებ საინტერესო ინფორამაციების გაცნობისთვის კი , გვინდა, მადლობა გადავუხადოთ მის თანაშემწე **ირაკლი ლოდიას.**

*„მეწყერი კონჭკათისთვის მოურჩენელ ავადმყოფობასავითაა. მეწყერს აქ ვერ შეაჩერებ, შემცირებით კი, სწორი მიდგომით, ალბათ, შესაძლებელია მისი შემცირება და შესაბამისად, ამ მიწისქვეშა სტიქიური მოვლენით გამოწვეული ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. იმეწყრება როგორც საკარმიდანო ნაკვეთები, ისე საცხოვრებელი სახლები. იყო მძიმე შემთხვევებიც, როცა*

▶▶▶ გვ-3

## „სამი ძმა“, „ნატა“, „ნალუთო,“ „აქ-ვა“„ქიუ ემ სი“, ,ბორან ქონთრაქშენი“, „ჯორჯიან მინერალსი“ – „ამათ ხელში მწვანე გურია ფულის საჯიჯგნ გურიად გადაიქცა“

სხვაგვარად ვერ მოვნათლეთ მდინარე სუფსისა და ნატანების ხეობებში ქვიშა-ღორღის მოპოვებელი კომპანიების ამჟამინდელი მასშტაბები. ასეთი რამ წინა ხელისუფლების დროს მდინარე ნატანების ხეობაში ხდებოდა, როცა აქ წიაღის ეროვნული სააგენტოს ლიცენზიანტი და არალიცენზიანტი 40-მდე კომპანია მუშაობდა. შედეგი ყველამ კარგად ვიცით..

**წერილის დასაწყისშივე ვაცხადებთ, მივესალმებით ქვეყანაში ავტობანის მშენებლობას, მაგრამ იგი უპასუხისმგებლო ქვიშა-ღორღის მომპოვებელი კომპანიების იმედად არ უნდა იყოს და ქვეყნის მთავარ სიმდიდრეს – ჩვენს სოფლებს, მის მოსახლეობას ზიანი არ უნდა მიაყენოს.**

სუფსის, ნატანების და რეგიონის სხვა მდინარეების ხეობებში მოსახლეობის არაერთი საპროტესტო აქციები მიუთითებს, რომ **წიაღის ეროვნული სააგენტო ადგილებზე არ სწავლობს ამჟამად არსებულ მდგომარეობას, მოსახლეობა არ იცნობს ლიცენზიის პირობებს** და მათი საკარმიდამო თუ საყანე ფართობების გვერდით ტრაქტორების აგუგუნების შემდეგ იგებენ, რომ ქვიშა-ღორღის მორიგი კარიერი გაიხსნა.



13 აგვისტოს სოფელ სილაურისა და ბაილეთის საზღვარზე, მდინარე სუფსის ხიდთან ამ ორი სოფლის მცხოვრებლების საპროტესტო აქცია გაიმართა. მათ ლანჩხუთი-ჯუმათი-ოზურგეთის ავტომაგისტრალი გადაკეტეს. აქციის მონაწილეები კომპანია „სამი ძმის“ მიერ სუფსის ხეობაში ქვიშა-ღორღის მოპოვების განახლებას აპროტესტებდნენ.

–**მერამდენედ განაახლეს მუშაობა. ჩვენს საყანე ფართობებს მოადგნენ. არც ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები და არც კომპანია „სამი ძმის“ წარმომადგენლები მოდიან, რომ ხალხს პასუხი გასცენ კითხვაზე. ჩვენი აქციის შემდეგ, ღამით შეიპარებიან ჭალაში, შეიყვანენ ექსკავატორს და კვლავ განაგრძონ მუშაობას** –აცხადებდნენ ისინი.

გზის გადაკეტვის გამო პროტესტს გამოთქვამდა მდინარე სუფსის ხიდზე და მდინარის გაღმა გაჩერებული ათეულობით მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი.

–*მესმის, რომ აქციაა, მაგრამ ჩემი უფლებებიც ხომ ირღვევა. სახლში დროულად უნდა მივიდე,* – აცხადებდა იანეთელი (ჯუმათი) **გოჩა ბიწაძე.**

–ჩვენ მხოლოდ სასწრაფო და სახანძრო ბრიგადებს გავატარებთ, ამბობდნენ აქციის მონაწილეები, თუმცა ისინი გზას უთმობდნენ იმ ავტომობილებს, რომლებშიც მცირეწლოვანი ბავშვები ისხდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გამოძახებულმა პოლიციამ აქციის მონაწილეებს გზა გაახსნევინა. აქცია გზის მიმდებარედ გაგრძელდა.

აქცია არ იყო კარგად ორგანიზებული. მათი მოთხოვნა, რომ მათთან ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები და კომპანიის „სამი ძმას“წარმომადგენლები მისულიყვნენ უშედეგო აღმოჩ-ნდა.

აქციაზე იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის და იურიდიული სამსახურების უფროსები, ტერი-

▶▶▶ გვ-4

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***


### სარედაქციო კოლეგია

**კომპიუტერული უზრუნველყოფა**

**გიორგი გოგოლაძე**

**gia_77@mail.ru**

**551 576060**

**რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3**

**ტელ: 558 499 100**

**გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311**

**გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“**

**მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77**


**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# სამოქალაქო ფესტივალი ოზურგეთში




**ალიონი.** ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში, სამოქალაქო ბიუჯეტის „იყავი თანამმართველის“ ფარგლებში პროექტის გამარჯვებული მონაწილეების ჩართულობით სამოქალაქო პიკნიკი ჩატარდა.

ღონისძიების მიზანი ინოვაციური პროექტის „იყავი თანამმართველის“ 2020 წლის შედეგების საინტერესო ფორმით წარმოჩენა და სამოქალაქო ბიუჯეტის პოპულარიზაცია იყო.

პიკნიკის სივრცეში მოეწყო ინტერაქციული გამოფენები და პარტიციპაციის კაფე, სადაც მოქალაქეებმა პროექტის შესახებ მოსაზრებები და იდეები დააფიქსირეს.

სამოქალაქო პიკნიკის დასასრულს ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა: სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში, **ზურაბ ნასარაიამ,** ოზურგეთის მერმა, **კონსტანტინე შარაშენიძემ** და საკრებულოს თავმჯდომარემ, **დავით დარჩიამ** პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად პროექტის გამარჯვებულებს სიმბოლური ვაუჩერები გადასცეს.

„იყავი თანამმართველი“ არის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტი, რომლის საშუალებით პირველად ქალაქ ოზურგეთში, მოქალაქეები, ხმის ექტრონული ვაუჩერებით ინფრასტრუქტურულ პროექტებს დააფინანსებენ.

პირდაპირი დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებულ სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი განსხვავებული ფორმატით ახორციელებს და დღეისათვის მას ანალოგი არ აქვს.

„იყავი თანამმართველში“ მსოფლიოში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და აქტიური ამომრჩევლების დაახლოებით 40% შეადგინა.

ხმის მიცემა ონლაინ პლატფორმაზე **https://votes.oz.gov.ge/** მიმდინარეობდა.

მოსახლეობის გადაწყვეტილებით გამოვლინდა 10 გამარჯვებული პროექტი, რომლებიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 300 000 ლარით დაფინანსდება.

ღონისძიების მხარდამჭერები არიან: „სოლიდარობის ფონდი საქართველოში,“ „პროგრესის სახლი“ და „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი.“

# ოზურგეთელმა ექიმებმა საპროტესტო აქცია გამართეს

10 აგვისტოს, 12 საათზე, მთელი საქართველოს მასშტაბით , ექიმები თეთრი ხალათებით გამოვიდნენ სამედიცინო დაწესებულებების წინ და გააპროტესტეს ექიმ **გიორგი ლობჟანიძისა** და **ვახტანგ ყიფიანის** მიმართ წინასწარი პატიმრობის შეფარდებას. საპროტესტო აქცია ქ. ოზურგეთში, „მედალფას“ წინ გაიმართა.

აქცის წინ უძღვოდა „მედალფას“ დირექტორის **დავით მდინარაძის** ეს პოსტი სოციალურ ქსელში:

*„.6 აგვისტოს გაიმართა სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების გაფართოებული შეკრება.*

*შეკრება მიეძღვნა ექიმ ვახტანგ ყიფიანის წინასწარ პატიმრობაში დატოვებას.*

*სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება გამოუცხადოს სრული სოლიდარობა და მხარდაჭერა დაკავებულ ექიმს.*

*გამომსვლელებმა აღნიშნეს:*

*1. მოქმედი რეგულაციების მხედვით ექიმებს კანონი არ დაურღვევიათ.*

*2. წინასწარი პატიმრობის გამოყენება არის მიუღებელი და ატარებს სადამსჯელო ხასიათს;*

*3. თავად ფორმა, როგორც მოხდა ექიმების დაკავება, სამედიცინო საზოგადოებისთვის არის სრულიად მიუღებელი და შეურაცხმყოფელი.*

*სხდომაზე გადაწყდა, რომ მოხდეს სამედიცინო საზოგადოების მობილიზება შემდეგი ღონისძიებების განსახორციელებლად:*

*1. ორშაბათს 12 საათზე, მთელი საქართველოს მასშტაბით , ექიმები თეთრი ხალათებით გამოვლენ სამედიცინო დაწესებულებების წინ და გააპროტესტებენ ექიმებისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას.*

*2. სამშაბათს 17 საათზე ჯანდაცვის სამინისტროსთან გაიმართება ბრიფინგი/აქცია, რათა რეგულირების სააგენტომ გადასინჯოს თავის დასკვნა, რითაც ექიმებს სრულიად დაუსაბუთებლად ბრალად ედებათ უკანონო სამედიცინო საქმიანობა;*



*3. სააპელაციო სასამართლოსთან მხარდამჭერი აქცია გაიმართება წინასწარი პატიმრობის გასაჩივრების წარდგენის დღეს.*

*ამასთანავე, გაერთიანება წერილით მიმართავს ჯანდაცვის სამინისტროს, სადაც დასაბუთებული იქნება, რომ სამედიცინო ჩარევის კლასიფიკატორის* ***NSCP*** *- ის მიხედვით - ის სამედიცინო ჩარევა ( მისი კოდი), არ -მიეკუთვნება იმ ტიპის ჩარევას , რისი განხორციელების უფლებაც არ ჰქონდა დაკავებულ ვახტანგ ყიფიანს. უფრო მეტიც, მეორე ოპერაციის დროს სამედიცინო მანიპულაცია საერთოდ არ განხორციელებულა“.*

# ავარია დაბა ნასაკირალში

სოფელ ოზურგეთისა და დაბა ნასაკირალის საზღვარზე, რომელიც ტერიტორიულად სოფელ ბოხვაურს ეკუთვნის, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მსუბუქი ავტომანქანა, მოხრეშილ გზაზე მოცურდა, გზის სავალი ნაწილის საპირისპირო მხარეს გადავიდა, იქვე მცხოვრების ეზოში შევარდა და ხეებს შორის გაიჭედა.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც ავტომანქანაში მყოფი 2 ახალგაზრდა საშუალო დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანა.



# სამუშაო შეხვედრა მერიაში

14 აგვისტოს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის საპილოტე ქსელის მშენებლობის ფარგლებში, კიდევ ერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ა(ა)იპ „ოუფენ ნეტისა“ და შპს „პარვუს ჯგუფის“ წარმომადგენლებმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად საპილოტე ქსელის დეტალური პროექტირება და აზომვითი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი სავარაუდო პრობლემების გადაჭრის საკითხები განიხილეს.

*„ეს გახლავთ საყოველთაო ინტერნეტიზაციის საპილოტე პროექტის პირველი ეტაპი. პროექტირების შემდეგ, დაიწყება ქსელის მშენებლობა, რომელიც დასრულდება უმოკლეს ვადაში, მთავრობის დადგენილების შესაბამისად“,* - აღნიშნა „ოუფენ ნეტის“ დირექტორმა, მარიამ სულაბერიძემ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, **კონსტანტინე შარაშენიძემ** მადლობა გადაუხადა სახელმწიფო პროგრამის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ გურიაში



ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებით ახალი ეტაპი იწყება.

*„მოხარული ვართ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი პროგრამა იწყება გურიიდან და ჩვენს მოსახლეობას ექნება წვდომა ხარისხიან ინტერნეტთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ისარგებლებენ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმებით. ეს არის შესაძლებლობა, მოსახლეობა უფრო აქტიურად ჩაერთოს ჩვენი ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში“,* - განაცხადა კონსტანტინე შარაშენიძემ.

შეგახსენებთ, რომ საპილოტე პროექტი განხორციელდება გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი პარამეტრებია: დასახლებული პუნქტების რაოდენობა - 49, შინამეურნეობა - 8 516, მოსახლეობის რაოდენობა - 28 576 მოსახლე.

# კონჭკათი – თბილი გურული სოფელი



*მეწყერს ბედად გამოასწრეს სახლიდან ოჯახის წევრებმა. დღეს კონჭკათში მეწყერისაგან დაზარალებულია დაახლო-ებით 20 ოჯახი“,* – თქვა „ალიონთან“ საუბარში **გელა აროშიძემ.**

შუაღელას უბანში, სანამ სტიქიისაგან დაზარალებულ **ჯეირან სახელაშვილის** ოჯახში მივიდოდით, მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, ვნახეთ ახალი ხიდი, რომელიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან გამოყოფილი 25 ათასი ლარამდე თანხით აიგო:

*„ამ ახალი ხიდის ექსპლუატაციაში გასვლით თავიდან იქნა აცილებული მოსახლეობის გადაადგილებისა თუ მოსავლის ტრანსპორტირების დროს მოსალოდნელი საფრთხეები. საქმე ისაა, რომ აქ შეიძლება ჩაქცეულიყო ძველი, ამორტიზებული ხიდი, რასაც შეიძლება მსხვერპლიც კი მოჰყოლოდა.*

*წლეულს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი 56 ათასი ლარიდან 25 ათასამდე ლარი ამ ხიდის მშ-ენებლობას მოხმარდა. დანარჩენით კი გარე განათების სამონტაჟო სამუშაოები შევასრულეთ. 6 კილომეტრი სიგრძის კაბელით მთლიანად სოფელი ვერ მოვიცავით, მაგრამ, რაც დარჩა, იმას აუცილებლად დავამთავრებთ მომავალ წელს.*

*სოფელში სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც შესრულდა. ეწერის, სუსკურას, თოიძეების უბანში, ასევე კონჭკათის თემში შემავალ სოფელ განთიადში 7 კილომეტრი საერთო სიგრძის რკინა-ბეტონის გზა დაიგო.*

*აღარაფერს ვამბობ 11,5 კმ სიგრძის მერია-კონჭკათისა და ხვარბეთი-განთიადის მოასფალტებულ გზებზე, რადგან ამის შესახებ თქვენი გაზეთი ადრე წერდა“,* – გვითხრა სოფლის დეპუტატმა.

ამასობაში მივადექით ჯეირან სახელაშვილის კარმიდამოს ჭიშკარს. მასპინძელი, რომელიც თხილის მოსავალს იღებდა, რამდენიმე წუთით მოვაცდინეთ, ვნახეთ ის ადგილი, სადაც ოჯახის წევრები სტიქიას იღბლად გადაურჩნენ, ორსართულიანი სახლი, რომლის მარცხენა მხარე ისეა დაწეული და დაბზარული, რომ ოდნავ მიწისქვეშა ბიძგსაც კი ნგრევა მოჰყვება, აქვეა ერთსართულიანი ნაგებობა, რომელსაც ბატონი ჯეირანის ოჯახი „ქუხნად“ იყენებდა, შენობის უკანა მხარეს კედელი საერთოდ ჩაქცეულია, ხოლო შენობაში ამოხეთქილი მიწისგან ფილაქანის იატაკი ისეა აბურცული და აყრილი, უხიფათოდ ვერ გაივლი.

*„სულზე მოგვისწრო ხელისუფლების 25-ათასიანმა დახმარებამ, გად-აყვეტილება მიღებულია და დღე-დღეზე ველოდები თანხის დარიცხვას. შესასყიდად ქალაქ ოზურგეთში, გურიელის ქუ-ჩაზე უკვე შერჩეული მაქვს ორსართულიანი სახლი. დიდი მადლობა მუნიციპალიტეტისა*



*და სოფლის ხელმძღვანელებს, რომლებმაც გასაჭირში მთელ ოჯახს ესოდენ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს და განსაცდელიდან გვიხსნეს“,* – ემოციურად აღნიშნა ჩვენთან საუბარში ოჯახის თავკაცმა, რომელიც შეგვპირდა, რომ აუცილებლად დაგვპატიჟებდა „ნოვოსელიაზე“.

როგორც გელა აროშიძემ გვითხრა, ადგილობრივი ხელისუფლებიდან წლეულს ანალოგიური დახმარება გაეწია სტიქიისაგან დაზარალებული **გოჩა მაჭარაშვილის, გიგა ხურციძის** და **პაატა კოსტავას** ოჯახებს.

სოფლის ცენტრში შევხვდით ერთი წლის წინათ სტიქისაგან დაზარალებულ კიდევ ერთ დაზარალებულს, 39 წლის **ბესიკ ქურასბედიანს:**

*„40 წელია კონჭკათში ვცხოვრობ და ხელისუფლებიდან ასეთი დახმარება მეტი არ მახსოვს. მეწყერმა მთლიანად დამინგრია სახლი, რომ იტყვინ, ღია ცის ქვეშ დავრჩი. დამეხმარენ ფინანსურად, სრულყოფილად მომიტანეს სახლის სამშენებლო მასალები. ვერ წარმოიდგენთ, ისეთი დახმარება გამიწიეს. დიდი მადლობელი დავრჩებით, თუ თქვენი გაზეთის საშუალებით შემეძლება, მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერიასა და ჩემი სოფლის თავკაცებს“,* – გვთხოვა ბესიკ ქურასბედიანმა.

როგორც გელა აროშიძესთან საუბრისას გაირკვა, სახლის ასაგები სრული კომპლექტი მიუტანეს მეწყერული მოვლენებისაგან მნიშვნელოვნად დაზალებული **მანუჩარ სებისკვერაძის** ოჯახს.

აროშიძის თქმით, თუნუქის სახურავი და შესაბამისი ხის მასალა ასევე გადაეცა სტიქიისგან მეტ-ნაკლებად დაზარალებულ კიდევ 8 ოჯახს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ხელმძღვანელთა მოწადინებით, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ადმინისტრაციულ შენობას, მას მაინც ატყვია შემდეგ განვითარებული სტიქიური მოვლენის კვალი, პირველ სართულზე კედლებს შორის გაჩენილმა ბზარმა კი, შესაძლებელია, შენობის რღვევა გამოიწვიოს.

ავ თვალს არ ეჩვენება, ისეთი სანახავია ამბულატორიის ახალი შენობა, სადაც კონჭკათელებს კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას უწევენ ექიმი **ინგა ქათამიძე** და ექთანი **ნონა თოიძე.** ერთადერთი, რაც ახლა აქ ჰიგიენურად აუცილებელია, ეს არის ის, რომ სველ წერტილებში მუდმივად ჰქონდეთ წყალი. პრობლემის მოგვარებას გელა აროშიძე ამ ტერიტორიაზე არტეზიული ჭის მოწყობაში ხედავს.

2014-2016 წლებში გარემონტდა სოფლის სკოლა, კეთილმოეწყო მისი სპორტუ-ლი დარბაზი, წლეულს 70 ათასი ლარის სამუშაოები ჩა-ტარდა უშუალოდ შენობაში სველი წერტილების მოსაწყ-ობად.

არატიპურ შენობაშია განთავსებული ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღი. ოღონდ აღსაზრდელთა კონტიგენტი გაიზარდოს და უმალ ვიზრუნებთ ახალ შენობაზეო, გვეუბნება გელა აროშიძე.

კონჭკათელების თქმით, სოფლისთვის უდავოდ კარგ და დიდ საქმეს აკეთებს ადგილობრივი ბიზნესმენი **იაშა ცენტერაძე,** რომელმაც აქ ხილის მიმღები პავილიონი ააშენა. ბატონი იაშა როგორც კონჭკათიდან, ისე მეზობელი სოფლებიდან იღებს, აფასოებს და უკრაინაში აგზავნის ციტრუსოვანთა ნაყოფს.

გაზიფიცირების სამუშაოები კონჭკათში სრულყოფილად სამი წლის წინ დამთავრდა, დასრულებულია ეს პროცესი ასევე განთიადში.

უკან განთიადი-ხვარბეთის კეთილმოწყობილი, მოასფალტებული გზით დავბრუნდით და აქ მართლაც იშვიათი სილამაზის პანორამა ვიხილეთ, რის შემდეგაც დღევანდელი კონჭკათის შესახებ ეს მოკრძალებული წერილი მოვამზადეთ.

კონჭკათი თბილი გურული სოფელია!



# ახალგაზრდობის სააგენტომ, ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრთან ერთად, ბათუმში რეგიონული ახალგაზრდული ფორუმების ციკლი გახსნა



13 აგვისტოს ახალგაზრდობის სააგენტომ, ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრთან ერთად, ბათუმში რეგიონული ახალგაზრდული ფორმების ციკლი გახსნა.

ღონისძიებაზე ახალგაზრდობის სააგენტომ ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტი წარადგინა, რის შემდეგაც ფორუმის მონაწილე ახალგაზრდები თემატურ სამუშაო ჯგუფებში გადანაწილდებიან და რეკომენდაციებს შეიმუშავებენ.

რეგიონული ახალგაზრდული ფორუმების მიზანია "სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2025" -ის განხილვა და ამ პროცესში ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვა.

ფორუმების დასრულების შემ-დეგ მომზადდება კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება.

ფორუმს აჭარა-გურიის ახალგაზრდული სამსახურების, რეგიონებში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სამინისტროებიდან სამუშაო ჯგუფების, ახალგაზრდობის სააგენტოს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ **თორნიკე რიჟვაძემ,** გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა **ზურაბ ნასარაიამ,** ახალგაზრდობის სააგენტოს უფროსმა **რევაზ ჩარკვიანმა** და საქართველოში გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა **საბინე მახლმა** მიმართეს.

*„ნიშვნელოვანია თქვენი აქტი-ურობა და ჩართულობა ყველა იმ გადაწყვეტილების მიღების პროც-ესში, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურები ვიღებთ,"* - ზურაბ ნასარაია.

ღონისძიების ბოლოს გაფორმდა მემორანდუმი ახალგაზრდობის სააგენტოსა და **UNFPA**-ს შორის.

რეგიონული ფორუმების ორგანიზებით მიღებული გამოცდილება საფუძვლად დაედება ახალგაზრდულ საკითხებზე სტრუქტურირებული დიალოგის პლატფორმის შემუშავებას და დანერგვას, რაც



უზრუნველყოფს ახალგაზრდებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრუქტურებს შორის რეგულარულ, ორმხრივ კომუნიკაციას, სტრატეგიის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ყველა ეტაპზე.

# „სამი ძმა“, „ნატა“, „ნალუთი,“ „აქვა“,„ქიუ ემ სი“, „ბორან ქონთრაქშენი“, „ჯორჯიან მინერალსი“ – „ამათ ხელში „მწვანე გურია ფულის საჯიჯგნ გურიად გადაიქცა“



ტორიული ორგანოს წარმომადგენლები და მაჟორიტარი დეპუტატები.

–რატომ არ მოდიან ხალხთან ამ კომპანიის წარმომადგენლები. ისინი ჩვენ არად გვაგდებენ,მაგრამ არ სცოდნიათ ხალხის ძალა. ახლა ამბობენ, საბუთები გვაქვს ადგილმონაცვლეობაზე ბატონი კოტე შარაშენიძის ხელმოწერილიო, მაგრამ არც ამ საბუთის შესახებ ვიცით სინამდვილეში. თავის დროზე პრეტენზიები გვქონდა მეორე კომპანიის „ქიუ ემ სის“ მიმართაც, მაგრამ შემდეგ ამ კომპანიამ ამ ხეობის 4 სოფელთან გააფორმა მემორანდუმი, რომელიც მილიონიან დაფინანსებას ითვალისწინებს. ყანებს დაგვითესავენ, გზებს გააკეთებენ, გაჭირვებულ ოჯახებს დაეხმარნენ –გვითხრა აქციის მონაწილე **ლია პაიჭაძემ.**

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, **თეიმურაზ ჭანუყვაძის** ინფორმაციით, წიაღის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წლის 27 აპრილს გასცა ლიცენზია კომპანია „ჯორჯიან მინერალსზე“ სუფსის ხეობაში ქვიშა-ღორღის მოპოვების თაობაზე. 2019 წლის იანვარში აღნიშნულმა კომპანიამ ეს ლიცენზია „ნატა 2000“ გადასცა. ამჟამად ამ კონტურებში კომპანია „სამი ძმა“ მუშაობს. რაც შეეხება მემორანდუმს კომპანია „ქიუ ემ სის“-თან ჭანუყვაძის თქმით, იცის, რომ იგი დასრულებული არ არის.

–არანაირი თანხმობა კარიერის გახსნაზე ან ადგილმონაცვლეობაზე ოზურგე-თის მუნიციპალიტეტის მერიას არ გაუცია - გვითხრა მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **ლაშა თავაძემ.**

რადგან კომპანია „ქიუ ემ სი“ ვახსენეთ, გავიხსენებთ, რომ გასულ წლებში, ამ კომპანიის მიმართაც ჰქონდა სოფელ ახალსოფლის (ბაილეთის თემი) მოსახლეობას პრეტენზიები და საპროტესტო აქციებიც იმართებოდა. შარშან, 10 ივნისის ნომერში ვრცელი სტატია გამოქვეყნდა სათაურით:„რა ხდება სუფსა-ნატანების ხეობაში და რა ეკოლოგიური პრობლემები ელოდება რეგიონს“ **alion.ge http://alion.ge/?view=article&id=1189;** „ბაილეთი –რა კეთდება კარგი და ხდება ცუდი გურიის ერთ-ერთ უძველეს სოფელში“.

სოფელ ახალსოფლის მოსახლეობა აპროტესტებდა, რომ მდინარე სუფსის აუზში კარიერის არასწორი ექსპლუატაციის გამო აქაურებმა სავარგულების 50 პროცენტი დაკარგეს და ეს პროცესი გრძელდებოდა.

*„მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სავარგულები სუფსამ მას შემდეგ წაიღო, რაც ქვიშა-ხრეშის მომპოვებელმა კომპანიამ , მოსახ-ლეობასთან შეუთანხმებლად, მდინარეს კალაპოტი შეუცვალა. წყალი აქეთ აწვება და მიაქვს ეს ჩვენი მიწები. 600 კუბური მეტრი გაბიონი იყო ჩაწყობილი, კარგად გაკეთდა, 43 დღე პირადად ვიმუშავე იქ და კარგად ვიცი, გააუქმეს მაგათმა, აღარ ჩანს საერთოდ. ჩემი ანგარიშით 18-20 ჰექტარი სავარგული უკვე წაღებულია“*–უთხრა გაზეთ „ალიონს“ახალსოფლელმა რო-ინი დარჩიამ („ალიონი“ №29, 2019 წ.)

აღნიშნული კომპანიის წინააღმდეგ სილაურელებმა და ბაილეთელებმა აქცია წელს, 6 მარტსაც გამართეს.

ამონარიდი გაზეთ „ალიონიდან“:

„არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ირმა გორდელაძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, რომ კარიერი მუდმივ რეჟიმში მუშაობს. წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული 5-წლიანი ლიცენზიით. მათ წლიურად 720 ათასი ტონა ინერტული მასალა უნდა მოიპოვონ და გადაამუშაონ და სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღე-ღამეში 16 საათი აქვთ განსაზღვრული. კარიერს შპს „ნატა 2000“-თან აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული.სულ სამი კომპანიის ტანდემია. მოსახლეობა აპროტესტებს, მაგრამ, როგორც ამბობენ, არიან ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წარმომადგენლები, ვინც ცდილობს მოსახლეობა გააჩუმოს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2019 წლის 26 ნოემბრის გზშ და სგშ განცხადებაში ვკითხულობთ:

**„ხარვეზის წერილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის (სილაურის) მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება**

*გაცნობებთ, რომ 2019 წლის 15 ნოემბერს სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა განცხადება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე (იხ. განცხადების ლინკი).*

*აღნიშნული პროექტის სკრინინგის განცხადებაში გამოვლინდა რიგი უზუსტობები, რის შესახებაც სამინისტრომ წერილით მიმართა შპს „ქიუ ემ სის“. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ პროექტზე ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ქიუ ემ სი“ უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენას.“*

მარტის აქციის შემდეგ „ქიუ ემ სიმ“ მოსახლეობასთან ურთიერთობის პრაქტიკა შეცვალა და სოფლების, **სილაურის, ბაილეთის, კონჭკათის, ჯუმათის** მოსახლეობასთან მემორანდუმი გააფორმა (გაფორმებული არ არის, მაგრამ ასეა ინფორმირებული აღნიშნული სოფლების მოსახლეობა).

რადგან მემორანდუმი არაა ძალაში შესული, რედაქციამ მუნიციპალიტეტიდან ვერ მიიღო შესაბამისი საჯარო ინფორმაცია, თუმცა მერის პირველი მოადგილის, ალექსანდრე სურგულაძის დახმარებით აღნიშნული მემორანდუმის პროექტს გავეცანით.

მემორანდუმი ფორმდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერ **კონსტანტინე შარაშენიძეს,** სოფლების სილაურის, ბაილეთის, ჯუმათის, კონჭკათის მაჟორიტარ დეპუტატეტს **გოჩა კილაძეს, პაატა კილურაძეს, მერაბ ბერიძეს, ტარიელ აროშიძესა** და შპს „ქიუ ემ სი“ დამფუძნებელს და დირექტორ **ნიკოლოზ ღლონტს** და სს „ფოლათ იოლ იაფი სანაიი ვე თიჯარეთ“ საქართველოს ფილიალის წარმომადგენელ **აჰმეტ ტეზჯანს** შორის.

მემორანდუმის საგანია (მუხლი 2) *„კომპანიის“ მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ფარგლებში ქვიშა-ხრეშის მოპოვების სანაცვლოდ „მუნიციპალიტეტი“-ს მიერ შესაბამისი პირობების დადგენა, კერძოდ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სილაურის, ბაილეთის, ჯუმათის და კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულების ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ჩატარების უზრუნველყოფა“.*

აღნიშნული მემორანდუმის პროექტის გაპიარებამ მოსახლეობის განწყობა შეცვალა.

გაზეთი „ალიონმა“ სოფელ ბაილეთის მაჟორიტარ დეპუტატს **პაატა კილურაძეს** სთხოვა ამ თემებზე კომენტარი:

*–მე ჩემი თანასოფლელების გვერდით ვდგავარ. კარგია, რომ მემორანდუმი ფორმდება. მე მოვაწერე ხელი. შესაბამისად „ქიუ ემ სის“ მიმართ მოსახლეობის განწყობა შეიცვალა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი კომპანია „სამ ძმაზე“, როცა მოსახლეობა გამოდის, ისინი არ ჩნდებიან. წავა მოსახლეობა და შემოდის ტრაქტორი ჭალაში. მუდამ ამ ჭალაში ხომ ვერ ვიქნები, არადა თანდათან იძაბება დამოკიდებულება მოსახლეობასა და ამ კომპანის შორის. რაიმე გაუთვალისწინებელი რომ მოხდეს, ვინაა პასუხისმგებელი?*

გაზეთი „ალიონი“ სოფელ ჯუმათის მაჟორიტარ დეპუტატს **მერაბ ბერიძეს** დაუკავშირდა;

*–ვადასტურებ, რომ მემორანდუმზე ხელი არ მომიწერია. თუკი სოფელს არ გავაცანი და მათგან არ მივიღე დასტური, ისე არ მოვაწერ, არადა, სოფლის სუფსისპირა სავარგულების მესამედზე მეტი ამ კარიერების არასწორი ექსპლოატაციის შედეგად წაღებულია. ვიცი, მართებული შენიშვნები ექნება სოფლის მოსახლეობას. ოჯახური მდგომარეობის გამო ახლა სოფელში არ ვიმყოფები. დაბრუნებისთანავე შევხვდები მოსახლეობას და ამის შემდეგ გადავწყვეტთ, მოვაწერ თუ არა ხელს.*

სოფელ კონჭკათის მაჟორიტარი დეპუტატი **ტარიელ (გელა) აროშიძე** ამბობს, რომ იგი ფიქრობს, ამ მემორანდუმზე მერის წარმომადგენელს უნდა მოეწერა ხელი და არა დეპუტატს, ამიტომ იგი შეხვდა მოსახლეობას, გააცნო მათ მემორანდუმის პირობები, მიიღო შესაბამის თანხმობა, რაზედაც შედგა ოქმი და ამის შემდეგ მოაწერა ხელი.

გაზეთი „ალიონი“ შპს „ქიუ ემ სის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს **იაკობ ლექვინიძესაც** ესაუბრა. იგი ადრე სოფელ სილაურში კომპანია „ჩი ენ ჯის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

– რა გაინტერესებთ, იცით კი რა არის მშენებლობა? ან რასაც ჩვენ ვაკეთებთ, იცით ამის შესახებ? მსგავსი გინახავთ რეგიონში? ვეხმა-რებით სოფლებს, მემორანდუმიც გავაფორმეთ. გინახავთ ეს დოკუმენტი? –კითხვები აქეთ დაგვისვა ლექვინიძემ.

–კი ბატონო, მშენებლობა როგორ არ ვიცით, მაგრამ მდინარის ხეობის აოხრებას (ქვიშა-ღორღის ამოღების წესების უგულვებელყოფას) თქვენ მშენებლობას ეძახით? **მემორანდუმის პროექტს კი ვიცნობთ, მაგრამ ჯერჯერობით ეს პროექტი დოკუმენტი არ არის**, რადგან მასზე ხელმოწერა არ დასრულებულა –ვუპასუხეთ ჩვენ.

ამჟამად, მდინარე სუფსაზე სათემო ორგანიზაცია „ეკოს“მოსთხოვნით, „ქიუ ემ სის“ დოკუმენტაციის სრული პაკეტის წარმოდგენა-შესწავლამდე სამუშაოები ერთი კვირით შეჩერებული აქვს.

რაც შეეხება „სამ ძმებს“, „ეკოს“ თავმჯდომარე ირმა გორდელაძე აცხადებს, რომ კომპანიას არ აქვს სრული



დოკუმენტაცია მუშაობის დასაწყებად არც ყადაღა აქვს მოხსნილი. სხვა დარღვევებიც აქვთ, რაც მთავარია, არ აქვთ უფლება მდინარის შუაზე გაყოფის.

- **მწვანე გურია ფულის საჯიჯგნ გურიად იქცა. მდინარის ფსკერსაც აღარ ტოვებენ** –ამბობს **ირმა გორდელაძე.**

მდინარე ნატანების ხეობაში გარემოსდამცველთა პრეტენზიებია კომპანია **„ნალუთი +“ს** მიმართ, რომელსაც ქვა-ღორღის მოპოვებაზე ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანია „აქ-ვასთან.“

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკო“ „ნალუთის“ უკანონო წარმოებაზე ედავება და ხელშეკრულებას სამართლებრივად გაუმართლებლად მიიჩნევს. ამის გამო „ეკოს“ თავმჯდომარე ირმა გორდელაძემ მიმდინარე წლის 22 მაისს წერილობით მიმართა ს.ს გარემოსდაცვით დეპარტამენტს.

აღნიშნულმა დეპარტამენტა უპასუხა „ეკოს“ კითხვებს:

*„1. შპს „აქ-ვა“-სა და შპს „ნალუთო+“ს შორის 2020 წლის 16 იანვარს გაფორმებული №08 ხელშეკრულება შპს „ნალუთო +“ს არ ანიჭებს უფლებას განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, შემდეგ გარემოებათა გამო:*

*„წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „წიაღის მოპოვება არის უშუალოდ ლიცენზიის მფლობელის ან დაქირავებული სუბიექტის მიერ ლიცენზიის მფლობელის სახსრებით განხორციელებული საბადოს დამუშავების შედეგად გარკვეული ოდენობის წიაღისეულის მოხმარება მისი პირდაპირი ან გადამუშავების შემდეგ რეალიზაციის მიზნით, საბადოს დამუშავების ხარჯების გაღებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახდელების გადახდით.“ ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად „სამთო მინაკუთვნის ფარგლებში წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობა სხვა პირებმა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის თანხმობით, მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე,“ თუმცა ზემოთაღნიშნულ კომპანიებს შორის 2020 წლის 16 იანვარს გაფორმეული №8 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 30 000 კუბ. მეტრი მოცულობის სამშენებლო ქვიშა/ხრეშის გასხვისება/შეძენა.*

2. **ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 16 იანვარს გაფორმებული №08 ხელშეკრულება ვერ ჩაით-ვლება სასარგებლო წიაღისე-ულის მოპოვების უფლების სამართლებრივ დოკუმენტად.“**

ამავე წერილით ვგებულობთ, რომ ლიცენზიის მფლობელმა ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინის სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა.

წერილს ხელს აწერს დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი მუკნიაშვილი.**

თუმცა 10 აგვისტოს გადმოგზავნილ წერილით ირაკლი მუკნიაშვილი წერს „ეკოს“, რომ დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, გაატაროს რეაგირება(?!)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნანა თანდილაშვილის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისადმი გადმოგზავნილი წერილით ვგებულობთ, რომ **თურქული კომპანია სს „ფოლათ იოლ იაფი სანაიი ვე თიჯე-რეთი“** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების მწრამოებელ ობიეტებს (ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო, ბეტონის საამქრო და მობილური ტიპის ასფალტის ქარხანა ) მოწყობას აპირებს, მაგრამ წერილში არსად არ არის მითითებული სად (?!).

როგორც ოზურგეთის მერიამ გვითხრა, ეს ადგილი სოფელ ნატანებია.

**გაზეთის სტამბაში გადაგზავნის წინ კომპანია „სამი ძმას“ ექსკავატორი „მიცუბიში“ №290 კვლავ სუფსის ხეობაში მუშაობდა.**

**ნუგზარ ასათიანი**

# გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი 2020 წელს აგვისტოს 22 აგვისტოს დაიწყება



ნადირობის სეზონი აგვისტოს მე-4 შაბათს გაიხსნება. აღნიშნული გადაწყვეტილება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სამეცნიერო-ექსპერტული წრეებიდან მიღებულ რეკომენდაციებზე და მონადირეთა უმრავლესობის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით მიიღო. ნადირობის სეზონის აღნიშნულ დროს დაწყება გადამფრენი ფრინველების დაცვისა და აღწარმოების მიზნებს ემსახურება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, წლევანდელი სეზონისთვის ცვლილებები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მართვაში/სარგებლობაში არსებული საშენი მეურნეობების ტერიტორიებზე მყოფ, გამრავლებულ/ მოშენებულ ცხოველებზე ზიანისა და სტრესის თავიდან აცილების მიზნით, აიკრძალა ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მართვაში/სარგებლობაში არსებული საშენი მეურნეობების ფართობებზე ნადირობა.

**ჩვეულებრივი გვრიტის (Streptopelia turtur) სახეობის პოპულაციის შემცირების გამო, მისი დღიური მოპოვების ლიმიტი შემცირდა 10 ინდივიდიდან 5-მდე.**

2020-2021 წლების სანადირო სეზონისთვის შეიცვალა **ტყის ქათამზე** (შცოლოპახ რუსტიცოლა) ნადირობის ვადა და განისაზღვრა 1 ოქტომბრიდან (ნაცვლად 15 ოქტომბრისა) 1 მარტამდე პერიოდით, ვინაიდან, ბოლო წლებში, აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, დაფიქსირებულია ამ სახეობის 15 ოქტომბერზე ადრე შემოსვლა. ტყის ქათამზე ნადირობის დასრულების ვადა, 1 მარტი, დარჩა უცვლელი, რადგან დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ტყის ქათამზე ნადირობა, ძირითადად, თებერვლის თვეში წარმოებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტყის ქათმის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება არ არის დაფიქსირებული.

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველებმა, ნადირობისას თან უნდა იქონიონ გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის (10 ლარი) გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220 101 222, ანგარიშის ნომერი: 200122900, ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი: 3033

# სახელოვან პროფესორს ჩემი სიყრმის მეგობარს ანზორ ერქომაიშვილს

სულიერებით მართალ კაცს,
ვფიქრობ და სხვას ვერ გადარებ,
,,რუსთავს'' ღვთიური გალობით
მსოფლიო შემოატარე.

აშოლტილ ბიჭებს გიცქერით,
ვამაყობ, ვლაღობ სიამით,
ღმერთმა უმრავლოს სამშობლოს
თქვენებრ ბულბულის ხმიანი.

ერის სულიერ კულტურას
ემსახურები კაცურად,
,,შვიდკაცამ'', ,,ხასანბეგურამ''
ოკეანები გასცურა.

მშობლიურ ჰანგებს უცხოელს
აცნობ, ასწავლი, აყვარებ,
თქვენი ამაგით ღირსეულ
მამულიშვილებს გადარებ.

სადაც შენ ხარ, დალოცვილო,
ყველგან ქართულ სითბოს აფრქვევ,
შენს ერს, მამულს და მომავალს
მღერით ამცნობ გულით სათქმელს.

გასავლელი ცხოვრების გზაც
ასე, წმინდად, ნათლად გევლოს,
თქვენ სამშობლოს უკვდავყოფთ და
თქვენ უკვდავგყოფთ საქართველო.

**ნოდარ დონაძე**

იყიდება
60 მმ-იანი რკინის მილები
(ფასი შეთანხმებით)
დარეკეთ: 593 28 21 19

# რამდენიმე ისტორიული ცნობა ნადირობის შესახებ და ნადირობის წესები ევროპის ქვეყნებში

ნადირობა ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესების და სპორტის განვითარების საუკეთესო საშუალებაა. იგი გვაახლოვებს ბუნებასთან, თავდაპირველად ნადირობა ადამიანისთვის საკვების მოპოვების მთავარი საშუალება იყო. ეკონომიკის განვითარების შესაბამისად, გაჩნდა ასეთი მოთხოვნილებები, საჭირო გახდა ახალი საარსებო საშუალებების ძიება. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ ბევრი სანადირო სავარგული სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა.

1791 წლის 9 სექტემბერს შეიქმნა ესტლანდიის ფაუნის დაცვის საზოგადოება. მის დამფუძნებელ კრებას დაესწრო 104 კაცი. 1891 წლის 14 მაისს დამტკიცდა მონადირეთა საზოგადოების წესდება, რომელიც სახავდა შემდეგ ამოცანებს: ენადირათ დადგენილ დროს, დაეცვათ სასარგებლო ფაუნა, ებრძოლათ ბრაკონიერობასთან, გაეუმჯობესებინათ ნადირობის წესები და სამონადირეო ძაღლების ჯიშები, შეესწავლათ ადგილობრივ ფრინველთა სახეობები და მათი ცხოვრების პირობები.

### ნადირობის წესები და კანონი ევროპის ქვეყნებსა და კავკასიაში

ნადირობის მაშინდელი კანონმდებლობა დასავლეთ ევროპაში მიზნად ისახავდა სასარგებლო ნადირ-ფრინველის მოპოვების რაოდენობის განსაზღვრას. კერძო მესაკუთრეებს უფლება ჰქონდათ, თავიანთ მამულებში არავისთვის მიეცათ ნადირობის უფლება.

ნადირობაზე კანონი პირველად საფრანგეთის მთავრობამ გამოსცა 1844 წლის 3 მაისს, რომლის მიხედვით პრეფექტები აწესრიგებდნენ ნადირობის სეზონის გახსნასა და დახურვას. გასცემდნენ ნებართვებს ნადირობის დაწყებამდე. უნებართვო ნადირობისთვის კი განსაზღვრული იყო ჯარიმა 15-დან 50 ფრანკამდე. აკრძალულ პერიოდში ნადირობისთვის პიროვნება ჯარიმდებოდა 200 ფრანკამდე, ან ისჯებოდა 6 დღიდან 2 თვემდე პატიმრობით. სხვის მამულში უნებართვო ნადირობისთვის სასჯელის ზომა იყო 2 წლამდე პატიმრობა.

პრესაში 1850 წლის 7 მარტს, კანონის თანახმად, თვითნებური ნადირობისთვის შემოიღეს ჯარიმა 300 მარკა.

ავსტრიაში ნადირობა მოწესრიგდა 1844 წელს.

ბოლო დროს ავსტრიამ, ბელგიამ, იტალიამ, შვეიცარიამ, საფრანგეთმა და გერმანიამ დადეს საერთაშორისო კონვენცია ნადირ-ფრინველთა დასაცავად.

რუსეთის მონადირეთა საზოგადოების ისტორია 1872 წლის ნოემბრიდან იწყება.

1894 წლის 23-30 მარტს ვენაში მოეწყო გამოფენა, სადაც მხოლოდ სანადირო ძაღლები (ორასამდე) წარმოადგინეს, ეს ძაღლები ავსტრიისა და გერმანიის დიდებულებს ეკუთვნოდათ, 25 მარტს გამოფენა დაათვალიერა კრონპრინცმა რუდოლფმა, ხოლო 26 მარტს იმპერატორმა ფრანც- იოსიფმა.

1884 წელს კავკასიის მონადირეთა საზოგადოებამ მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ ხოხობზე ნადირობა აკრძალულიყო ბაგრატიონ მუხრანსკისა და გედევანოვის სამონადირეო აგარეკებში, კარსანსა და კასპში. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მათი სამონადირეო სავარგულები თბილისთან ახლოსაა და მონადირე ერთ ჯერზე ორმოცზე მეტ ხოხობს კლავდა. წესის დამრღვევი მოკლულ ერთ დედალზე ჯარიმდებოდა 5 მანეთით, მამალზე – სამი მანეთით.

საერთო წესით სეზონში ნადირობა შეეძლოთ მხოლოდ იმათ, რომელთაც თან ჰქონდათ ხელისუფლების სამონადირეო მოწმობა.

1884 წლის 5 მარტს კავკასიის მონადირეთა საზოგადოების წევრმა პორუჩიკმა ბერგმა აკრძალულ დროს მოკლა 43 ხოხობი. მონადირეს ნადავლი ჩამოართვეს.

1884 წლის 15 და 20 თებერვალს თბილისელ ვაჭარს ჩამოართვეს აკრძალულ დროს მოპოვებული 2 ჯეირანი, რომლებიც აუქციონზე გაყიდეს თითო 4 მანეთად და 60 კაპიკად. ეს ფული თბილისის პოლიცმეისტერმა გადასცა ქალაქის კეთილშობილთა საზოგადოებას, ხოლო დამნაშავის საქმე გამოსაძიებლად გადაეცა სასამართლოს.

მრავალმხრივ საგულისხმოა ქართული სამონადირეო ტრადიციები და წეს-ჩვეულები, რომელიც საჭიროებს შემდგომ ძიებას, თავმოყრას, სისტემაში მოყვანასა და მეცნიერულ კვალიფიკაციას.

### ძველი ქრონიკები

1892-1894 წლებში რუსეთის საზოგადოებამ პირველად გამოუშვა სანადირო თოფების დენთი ,,სოკოლი'', რაც გაცილებით სჯობდა იმ დროს არსებულ შავ დენთს. რუსეთში მაშინ გავრცელებულ საზღვარგარეთულ უკვამლო დენთებთან შედარებით. ,,სოკოლს'' ყველაზე ნაკლები ბოლი ჰქონდა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში რუსეთში ფართოდ გავრცელდა საუკეთესო ჯიშის მწევარ-მეძებარი, რომელიც კავკასიური ნაგაზის ნაჯვარი იყო. მისი მოშენება დაიწყეს 1801 წლიდან, იგი მაჭავარიანოვის (პეტრე მიხეილის ძე მაჭავარიანის) ჯიშის სახელწოდებით იყო ცნობილი.

### მონადირეთა ტიპები

უწინ მონადირეები, როცა არ ჰქონდათ კარგი იარაღი და არ ჰყავდათ ჯიშიანი ძაღლი, სხვა თვალით უყურებდნენ ნადირობას, ცხოველებს, ფრინველებს. მათთვის ყველაფერი მარტივი და უბრალო იყო.

ახლა, როცა გაუმჯობესდა თოფები, და ყველა სახის მეძებრები გვყავს, ნადირობა სხვაგვარი გახდა. თანამედროვე მონადირებიც სხვანაირი არაიან. მათ არა თუ საუკეთესო ჯიშის ძაღლები ჰყავთ და კარგი თოფები აქვთ, მონადირეობის განვითარებისთვის სპეციალური ლიტერატურაც გააჩნიათ თვითონ გამოსცემენ ჟურნალებს, ხელმძღვანელობენ სხვათა გამოცდილებით, აწყობენ ძაღლებისა და



თოფების გამოფენას, გამოჰყავთ ახალი ჯიშები და წვრთნიან მათ.

თანამედროვე მონადირეები შეიძლება დაიყოს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოთხ ჯგუფად; სპორტსმენებად, ძაღლის მწვრთნელებად, მრეწველებად, მოყვარულ მონადირეებად.

სპორტსმენი მონადირე, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულია სპორტული გართობით. მას ნაკლებად იტაცებს ტყეში, ჭაობებსა და ველებზე ხეტიალი. სამაგიეროდ სიამოვნებით ცხადდება სტენტზე სასროლად, რათა აჩვენოს თავისი ოსტატობა და ძვირფასი თოფი. ამგვარი მონადირე დადის საზღვარგარეთ, რისთვისაც დიდ ხარჯსაც არ ერიდება – ასეთები ჩვენში ცოტაა.

ძაღლით მონადირე ნამდვილი მონადირეც არის. იგი ძაღლში ხედავს მხოლოდ მეგობარს. მასთან ერთად ნადირობისას განიცდის სიამოვნებას. ყოველნაირად ცდილობს, გააუმჯობესოს ძაღლის ჯიშები. საამისოდ არ იშურებს დროს, ცოდნასა და სახსრებს. მონაწილეობს გამოფენა-კონკურსებში.

მრეწველი მონადირეები თუ სხვის სავარგულებში მოხვდნენ სულ ამოწყვეტენ იქაურ ნადირ-ფრინველს. ისინი უფრო ბრაკონიერობისკენ იხრებიან უფრო. მათ ხშირად ვხვდებით მაღალი კლასის მონადირეებს შორისაც.

მოყვარული მონადირეები ჩვენში ძალზე მომრავლდნენ. ისინი გულგრილად ეკიდებიან სამონადირეო დარგის განვითარებას. მათი თვალთახედვა ძალზე შეზღუდულია.

### რჩევა დამწყებ მონადირეებს

– არ ესროლოთ სხვის მიერ დაჭრილ ნადირ-ფრინველს თუ თვითონ დამჭრელი არ გთხოვთ.

– არასოდეს გაეკაროთ ნაბულზე გაჩერებულ სხვის ძაღლს.

– როცა მონადირეები მინდორში გაიშლებიან და ყველა თავისი გზით მიდის, სხვას წინ არ გადაეღობოთ, თქვენ თქვენი მიმართულებით იარეთ.

მალე ახალი სამონადირეობა სეზონი გაიხსნება. გისურვებთ იღბლიან ნადირობას. ვიმედოვნებთ თქვენს წვლილს შეიტანთ ფლორისა და ფაუნის დაცვაში. აამაღლებთ სამონადირეო კულტურას, რათა ამ სიკეთით ვისარგებლოთ არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ჩვენმა შვილთაშვილებმა და მათმა შთამომავლებმაც.

**ჯანვერდი ცეცხლაძე**

# მადლიერება ყველას ვალია



ძნელია ყველაფერი წარმოიდგინო და საკუთარი ბედუკუღმართობა გაითავისო, როცა შვილს ეთხოვები. თუმცა, ადამიანი ცოცხალი არსებაა და ცივილიზებული სამყაროს პირობებში ქვეცნობიერად ყველაფერს ეგუება. არავის ვუსურვებდით შვილის დაკარგვას, ეს ხომ მშობლებისთვის მუდმივი ტკივილი და წარმოუდგენელი ტანჯვაა. ამ ტანჯვით უნდა იარონ მუდამ როგორც აქაურ, ისე სხვა სამყაროში. მწარეა, უმწარესია ყოველივე ეს, მაგრამ გარკვეულ შვებას საზოგადოების მხრიდან თანადგომაში ხედავ.

ალალმართალი, ოჯახის მოსიყვარულე, ყველასთვის საყვარელი, თბილი, მიმტევებელი და ქველმოქმედი ადამიანის, **შალვას** დაკარგვით გამოწვეულ უბედურებას ჩვენმა მთელმა ოჯახმა სწორედ საზოგადოებიდან გვერდში დგომით, ნუგეშითა და სიყვარულით უნდა გავუძლოთ.

უკიდეგანო მადლობა შალვას მეგობრებს, ახლობლებს, ანასეულისა და მთლიანად ოზურგეთის საზოგადოებას, რომ გულთან მიიტანეს ჩვენი განცდა და ტკივილი. ჩვენ, როგორც მისი ოჯახის წარმომადგენლებს, გვეამაყება ჩვენი შვილის ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრებაც კი; გვეამაყება, რომ ჩვენი შალვა ასეთი საზოგადოების გულში ტრიალებდა.

მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული, გვერდში დგომა და კაცურ-კაცობა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი სული და ხორცი!

**გაბრიჩიძეების ოჯახი.**

# მადლობა, მადლობა, მადლობა!

გაზეთ ,,ალიონის“ მეშვეობით, ამ სამადლობელო ბარათს ვუგზავნით ოზურგეთის მერს, ბატონ **კონსტანტინე შარაშენიძეს.**

რატომ?

იმიტომ, რომ მისი დახმარებით, ჩვენ მოსალოცად ვიყავით კახეთის მხარეში, აგრეთვე რუის-ურბნისის ეპარქიაში. ახლახან კი მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით (მძღოლი — თამაზ არველაძე, რომელიც კეთილსინდისიერად მოგვემსახურა) ვეწვიეთ შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკს, ამ მართლაც საოცარი სილამაზის ადგილს, გავისეირნეთ მუსიკოსთა ბაღში, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო და დაუვიწყარი იყო მოგზაობა ,,მინიატურულ საქართველოში“, სადაც ერთ სივრცეშია განლაგებული უძველესი ეკლესია-მონასტრების მაკეტები.

მადლობა, ბატონო კონსტანტინე, ყველაფრისთვის.

ღმერთმა დაგლოცოთ!

მომლოცველთა ერთი ჯგუფის სახელით,

**ნინო ბასილაიშვილი.**

ხსოვნა

# გრივერ ფარულავა



84 წლის ასაკში გარდაიცვალა პროფესორი, ძველი ქართული მწერლობის ცნობილი მკვლევარი **გრივერ ფარულავა.** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აღზრდილი ფილოლოგთა არაერთი თაობა გრივერ ფარულავას სტუდენტი იყო. იგი ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კითხულობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს.

გრივერ ფარულავა იკვლევდა ქართული ქრისტიანული ხელოვნების, ესთეტიკისა და ლიტერატურის პრობლემებს, კითხულობდა სპეცკურსებს ამ მიმართულებით. მკვლევართა და ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული მკითხველისთვის. საყოველთაოდ ცნობილია მისი წიგნები: ,,მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში“, ,,ჰაგიოგრაფია — ხელოვნება ხელოვნების შესახებ“ და სხვა.

გრივერ ფარულავა წლების განმავლობაში იყო თბილისის სასულიერო აკადემიის ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

გრივერ ფარულავას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

მან გააგრძელა გიორგი ლეონიძის დაწყებული საქმე და დღეს ქართულ პოეზიას ჰყავს თავისი ,,ღიმილის ბიჭი“, 1919 წელს თურქ ასკერებთან ბრძოლაში დაღუპული სტუდენტი პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი, — ფსევდონიმით ,,მთის ნიავი“, რომლის შემოქმედებას მიუძღვნა პროფესორმა გრივერ ფარულავამ წიგნი ,,ბედის მდინარე“...

**გაზეთ ,,ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ გრივერ ფარულავას მეუღლეს ქალბატონ მზია ჯინჭარაძეს და ოჯახის წევრებს სახელოვანი მამულიშვილის გარდაცვალების გამო.**

# სკანვორდი



გულის დაწყვეტა

ქაღალდის დასტა

კავშირი

დამხმარე ჯარი

ფოლაქი

მოურჩენელი დაავადება

ჭუჭყი

ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი

ნაგვის ასაღები

კარგი გურულად

წიფელის ნაყოფი

ბოლო ნოტი

სამხრეთის ქარი

სახედარი, ჯორი

საქორწილო ტახტი

მემაღაროე

ქვევრი

ჩრდილოეთის ირემი

ღვთისმეტყველი

მამაკაცის სახელი

რკინის საჭრისი

ნოეს მთა

კოცონი

მე-3 პირის ნაცვალსახელი

დოქი

ყვავილი

რძის ნაწარმი

მიწის საზომი ერთეული

შეძახილი ხარის გასაღენად

ნაწარმოების ნაწილი წიგნად

კომში

კურკოვანი ხილი

სითხის საზომი

სამარხი

საყურე

ზღვა

ხევი

მუნიც- ტი იმერეთში

## პასუხები:

სურათზე — ლევან უჩანეიშვილი; გულის დაწყვეტა — სინანული; ქაღალდის დასტა — ოზმა; კავშირი — და; დამხმარე ჯარი — ნაჯადი; ფოლაქი — ღილი; მოურჩენელი ავადმყოფობა — კიბო; ჭუჭყი — წიკვლი; ყოფილი ინგლისელი ფეხბურთელი — ლი; ნაგვის ასაღები — აქანდაზი; კარგი გურულად — კაი; წიფელის ნაყოფი — წიწიბო; ბოლო ნოტი — ლი; სამხრეთის ქარი — არავი; სახედარი, ჯორი — კარაული; საქორწილო ტახტი — აჯილა; მემაღაროე — ქანქანა; ქვევრი — ჭური; ჩრდილოეთის ირემი — ლოსი; ღვთისმეტყველი — მერჩულე; მამაკაცის სახელი — როინი; რკინის საჭრისი — თეგი; ნოეს მთა — არარატი; კოცონი — ლამპარი; მე-3 პირის ნაცვალსახელი — იგი; დოქი — სურა; ყვავილი — ია; რძის ნაწარმი — დო; მიწის საზომი ერთეული — აკრი; შეძახილი ხარის შესაძენად — აში; ნაწარმოების ნაწილი წიგნად — ტომი; კომში — ბია; კურკოვანი ხილი — ჭანჭური; სითხის საზომი — კოჭობი; სამარხი — სამარე, საყურე — უტურა; ზღვა — პელაგონი; ხევი — ოლე; მუნიციპალიტეტი იმერეთში — ხონი.

# საქართველოს საეგზარქოსო 1901-1904 წლებში

## (საქართველოს საეგზარქოსოსა და ეპარქიების მმართველობა)

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



**1. საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობა.** 1898 წლის 21 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსად და ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსად დაინიშნა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი არქიეპისკოპოსი **ფლავიან გოროდეცი,** რომელიც ამ თანამდებობაზე დარჩა 1901 წლის 10 ნოემბრამდე. 1901 წლის 10 ნოემბერს საქართველოს ეგზარქოსად და ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი **ალექსი ოპოცკი.** ალექსი ოპოცკი ეგზარქოსი იყო 1905 წლის 1 ივლისამდე. 1901 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოს საეგზარქოსოს პირველი ქორეპისკოპოსი იყო გორის ეპისკოპოსი **კირიონი (საძაგლიშვილი),** მეორე ქორეპისკოპოსის თანამდებობა ვაკანტური იყო.

საეგზარქოსოში მნიშვნელოვან თანამდებობებზე მუშაობდნენ: საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის გამგედ **ვასილი პეტროპავლოვსკი,** თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად — არქიმანდრიტი **გერმოგენი,** საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორად — **ლევ რუშინსკი,** საქართველო- იმერეთის სინოდალური კანტორის მდივნებად —**სოლომონ ჩიტაძე** და **სოფრომ მგალობლიშვილი,** საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორად —**ლეოპოლდ ბილფელდი,** საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თარჯიმნებად— **ვასილ ტაბატაძე** და **დიმიტრი მღებრიშვილი.** თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი იყო დეკანოზი **ესტატე ელიაშვილი.**

**2. ქართლისა და კახეთის ეპარქიის მმართველობა.**

ქართლისა და კახეთის ეპარქიას უშუალოდ განაგებდა ქორეპისკოპოსი, ეპისკოპოსი **კირიონი (საძაგლიშვილი)** .ქართლისა და კახეთის ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე იყო თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი **გერმოგენი.** საბჭოს საპატიო წევრები —**იუსტინ მიცკევიჩი, ვლადიმირ ოსიცკი, ვასილი ველიჩკო;** საბჭოს წევრები —**კონსტანტინ სტეპანოვიჩი, პიოტრ კონჩუევი, სოლომონ შოშიაშვილი, მარკოზ ტყემალაძე, სერგეი გოროდცოვი;** ეპარქიის სკოლების ზედამხედველი — **ნიკოლოზ ტატიშვილი;** თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი იყო არქიმანდრიტი **სტეპანი;** თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების პრორექტორი —**ნიკოლაი დიმიტრიევი.**

ქართლისა და კახეთის ეპარქიაში მოქმედი იყო მამათა 8 და დედათა 2 მონასტერი, მათი წინამძღვრები იყვნენ:

**მამათა მონასტრებისა:**

1. დავით გარეჯის მონასტრისა —იღუმენი **ბენედიქტე,**

2. თბილისის ფერისცვალების მონასტრისა — არქიმანდრიტი **კესარიოსი;**

3.ხირსის მონასტრისა — არქიმანდრიტი **ლეონტი;**

4. ქვაბთახევის მონასტრისა — არქიმანდრიტი **დოსითეოზი;**

5. ვარძიის მონასტრისა — იღუმენი **სიმონი;**

6. საფარის მონასტრისა — იღუმენი **ალექსი;**

7. შუამთის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა ვაკანტური იყო;

8. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობა ვაკანტური იყო.

**დედათა მონასტრებისა:**

1. ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტრისა — იღუმენი **ა. იუვენალია;**

2. სამთავროს მონასტრისა — იღუმენი **ა. ნინო.**

ქართლისა და კახეთის ეპარქიაში ბლაღოჩინების თანამდებობები ეკავათ მღვდლებს:

1. თბილისის მაზრაში— **სოლომონ შოშიაშვილს, პლატონ ხუროშვილს, იოსებ კომორიძეს, იროდიონ გურგენიძეს, იოანე ჩიტაძეს, სილიბისტრო ხუნდაძეს, მარკოზ ტყემალაძეს;**

2. დუშეთის მაზრაში — **აბრამ ტარიელაშვილს, იოანე კეზელს, დიმიტრი მეტრეველს, იროდიონ სისაურს;**

3. გორის მაზრაში — **დიმიტრი ტატიშვილს, პანტელეიმონ გედევანიშვილს, მანასე კაპანაძეს, გიორგი ედილაშვილს, მიხეილ დევიძეს, დავით კავკასიძეს, ქრისტეფორე ციცქიშვილს, ზურაბ ჯიოევს, იოანე კაპანაძეს, იოაკიმე გორგაძეს;**

4. სიღნაღის მაზრაში — **კირიონ ღვთისავარიშვილს, სიმონ ბეგიაშვილს, ისიდორე ვაჩეშვილს, იოსებ შიშნიაშვილს;**

5. თელავის მაზრაში — **მიხეილ ხელაძეს, ნიკოლოზ ხუციშვილს, სამსონ იმნაიშვილს;**

6. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში — **დიმიტრი ხახუტაიშვილს;**

7. ყარსის ოლქში — **იოან ნაზაროვს, ნიკოლაი კომარს;**

8. ფშავსა და ხევსურეთში — **ისიდორე პერტაიას, ვლადიმერ გრძელიძეს, ზურაბ ჯიოევს, იოანე კაპანაძეს, მიხეილ ხელაძეს, იროდიონ სისაურს;**

9. კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებაში — **იროდიონ ოქროპირიძეს.**

**3. იმერეთის ეპარქიის მმართველობა.** იმერეთის ეპარქიის მმართველი იყო ეპისკოპოსი **ლეონიდი(ოქროპირიძე),** საეპარქიო კანცელარიის მდივანი — **ერასტ თუთბერიძე,** ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი — დეკანოზი **გაბრიელ ცაგარეიშვილი.** იმერეთის ეპარქიაში მამათა 6 და დედათა 1 მონასტერი შედიოდა, რომელთა წინამძღვრები იყვნენ:

1. გელათის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისა —არქიმანდრიტი **სერაპიონი;**

2. მოწამეთის წმ. დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მონასტრისა — არქიმანდრიტი **ბესარიონი;**

3. ჯრუჭის წმ. გიორგის სახელობის მონასტრისა — არქიმანდრიტი **ნიკიფორე;**

4. ჭელიშის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისა — არქიმანდრიტი **დანიელი;**

5. ნამარნევის მონასტრისა — არქიმანდრიტი **კირილე;**

6. კაცხის ამაღლების სახელობის მონასტრისა — იღუმენი **გრიგოლი;**

7. მღვიმევის მაცხოვრის სახელობის დედათა მონასტრისა — იღუმენია **ფეოდოსია;**

იმერეთის ეპარქიაში ბლაღოჩინების თანამდებობა ეკავათ მღვდლებს:

1. ქუთაისის მაზრაში—**ნესტორ შვანგირაძეს, იოსებ ჭეიშვილს, იუსტინე მამფორიას, ერასტი მაჭარაძეს, ერმალოზ კანდელაკს, ალექსანდრე შანიძეს, მიხეილ მჭედლიძეს, დავით სირბილაძეს, ივლიანე აბესაძეს, ზოსიმე ნემსიწვერიძეს, ამბროსი კანდელაკს;**

2. შოროპნის მაზრაში—**დავით ღამბაშიძეს, იაკობ გველესიანს, აბესალომ ტყემალაძეს, ერმალოზ ვეფხვაძეს, გიორგი ტყემალაძეს, მელენტი რიჟამაძეს, იასონ აბესაძეს, ლუკა ჭიპაშვილს, ლავრენტი დევიძეს, სიმონ ჭუმბურიძეს, იოსებ წერეთელს;**

3. რაჭის მაზრაში— **ალექსი გიორგობიანს,მიხეილ სხირტლაძეს, მათე გორდეზიანს, ნიკიფორე კანდელაკს;**

4.ლეჩხუმის მაზრაში— **რომან გულბანს, ნიკიფორე ფრუიძეს, ალექსანდრე გერსამიას, ზაქარია მჭედლიძეს, ბესარიონ ნიჟარაძეს;**

5. მოწამეთის მონასტრის ბლაღოჩინი იყო არქიმანდრიტი **ბესარიონი;**

6. ქალაქ ქუთაისის ბლაღოჩინი იყო **ნესტორ ყუბანეიშვილი;**

**4. სოხუმის ეპარქიის მმართვე-ლობა.** სოხუმის ეპარქიის მმართველი იყო ეპისკოპოსი **არსენი(ზოტოვი)**, ეპარქიის კანცელარიის მმართველი — **ალექსანდრ ტროიცკი;** სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი — დეკანოზი **დავით მაჭავარიანი.**

სოხუმის ეპარქიაში 2 მოქმედი მონასტერი იყო:

1. ახალი ათონის მამათა მონასტერი — წინამძღვარი არქიმანდრიტი **იერონი;**

2. დრანდის მამათა მონასტერი — წინამძღვარი იღუმენი **სავა;**

სოხუმის ეპარქიაში ბლაღოჩინების თანამდებობა ეკავათ მღვდლებს:

1. **იასონ ჩარჩანიძეს**(სოფელიაწი), **დავით ხუციშვილს(**სოფელი დრანდა), **დიმიტრი მარღანიას**(დაბაოჩამჩირე), **იოანე ქავჟარაძეს**(სოფელი ოქუმი), **სამსონ სვანიძეს(**სოფელი რიწა), **ავრაამ ივაოვს**(ქალაქისოხუმი), **ფიოდორ ფილიპოვს**(ქალაქი ანაპა),**ალექსეი ბოგდანოვს**( დაბა ტუაფსე);

2. ახალი ათონის მამათა მონასტრის ბლაღოჩინი იყო არქიმანდრიტი **იერონი;**

3. დრანდის მამათა მონასტრის ბლაღოჩინი იყო იღუმენი **სავა.**

სოხუმის ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე იყო დეკანოზი **დავით მაჭავარიანი, წევრები: მიხაილ რაძევიჩი, ავრაამ ივანოვი, გეორგი გოლუბცოვი, ალექსანდრ ტროიცკი, პაველ ბარსკი, გეორგი სიდოროვი, სიმონ კლდიაშვილი, ვასილი იასტრებოვი**; ეპარქიისსაეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი — **ვასილი იასტრებოვი;** არქიტექტორი — **სიმონ კლდიაშვ-ილი.,** ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი იყო არქიმანდრიტი **ბენიამინი.**

**5. გურიისა და სამეგრელოს ეპარქია.** გურიისა და სამეგრელოს ეპარქიის მმართველი იყო ეპისკოპოსი **ალექსანდრე (ოქროპირიძე)**;ეპარქიის კანცელარიის მმართველი —**ლეონტი ჩარჩანიძე,** საეპარქიო ტაძრის (ქ.ფოთში)წინამძღვარი — დეკანოზი **გრიგოლ მაჭარაძე;** ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე — დეკანოზი **გრიგოლ მაჭარაძე,** წევრები: არქიმანდრიტი **გიორგი, ლეონტი ჩარჩანიძე, ნიკოლოზ(ნიკო) ნიკოლაძე, თევდორე (თედო) ჟორდანია,** მღვდლები: **არსენ თოხაძე, ილარიონ ხახუტაიშვილი, იოანე ეპიტაშვილი, ვარლამ მახარაძე, იაკობ ფანცხავა;** ეპარქიის სასწავლო საბჭოს ოზურგეთის განყოფილების თავმჯდომარე — მღვდელი **სოლომონ ანდღულაძე;** ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე — მღვდელი **იოანე ბობოხიძე;** სენაკის განყოფილების თავმჯდომარე **არისტარხ კალანდარიშვილი;**

გურიისა და სამეგრელოს ეპარქიაში მამათა 6 და დედათა 2 მონასტერი მოქმედებდა:

1. ხობის მამათა მონასტერი, წინამძღვარი — არქიმანდრიტი **სიმეონი;**

2. შემოქმედის მამათა მონასტერი, წიმანძღვარი—არქიმანდრიტი **ნიკოლოზი;**

3. იოანე ნათლისმცემლის უდაბნო, წინამძღვარი— არქიმანდრიტი **არსენი;**

5. ჯუმათის მამათა მონასტერი, წინამძღვარი —არქიმანდრიტი **გერასიმე;**

6. მარტვილის მამათა მონასტერი, წინამძღვარი —ეპისკოპოსი **ალექსანდრე ( ოქროპირიძე);**

7 .ნახარებოვოს მამათა მონასტერი, წინამძღვარი —არქიმანდრიტი **ნიკიფორე;**

8. თეკლათის დედათა მონასტერი, წინამძღვარი — იღუმენია **აფანასია;**

9. ჯიხეთის დედათა მონასტერი, წინამძღვარი — მონაზონი **ელენე.**

გურიისა და სამეგრელოს ეპარქიაში ბლაღოჩინების თანამდებობა ეკავათ მღვდლებს:

1. სენაკის მაზრაში — **თევდორე ხოშტარიას,გიორგი ბერიძეს, ანტონ კეკელიას, კაპიტონ გაწერელიას, სიმონ ქავთარაძეს, კონდრატე ჩაჩიბაიას, ვლადიმერ ელიავას, კლიმენტი ჭანტურიას, არისტარხ კალანდარიშვილს, ანტონ რევიას, კონსტანტინე ბერიძეს;**

2. ზუგდიდის მაზრაში — **მიხეილ მეუნარგიას, ნესტორ ალშიბაიას, ნიკოლოზ თოლორაიას, ევგენი შენგელაიას, ალექსი კვარაცხელიას, ანდრო ვახანიას;**

3. ოზურგეთის მაზრაში — **დიმიტრი ქიქოძეს, ლუკა ხუნდაძეს, ხარიტონ ცინცაძეს, სოლომონ ანდღულაძეს, არსენ თოხაძეს, დიომიდე ჩხაიძეს, ნიკოლოზ რამიშვილს;**

6. საქართველოშიარსებული სასულიერო სემინარიები და სასულიერო სასწავლებლები. 1901 წლისათვის საქართველოში შემდეგი სასულიერო სემინარიები და სასწავლებლები არსებობდა:

1. **თბილისის სასულიერო სემინარია:**რექტორი— არქიმანდრიტი **გერმოგენი;** ინსპექტორი— არქიმანდრიტი **სტეფანე;** მასწავლებლები: მღვდელი **სტეფანე მურახოვსკი,**მღვდელმონაზონი **ანატოლი,ვლადიმირ ივანოვი, ივან რუმიანცევი, აფანასი კლენოვი, პაველ ალებოვი, ივან გორტინსკი, ნიკოლოზ მახათაძე, ილია ფერაძე, ნიკოლაი ხმელევსკი, სემიონ ტროიცკი, მიხეილ შარაბიძე, მაქსიმე შა-რაძე.** სემინარიის მოძღვარი იყო მღვდელი **იოსებ ლაბაძე,** სემინარიის საავადმყოფოს ექიმი — **ალექსეი პროზოროვსკი.**

**2. ქუთაისის სასულიერო სემინარია:** რექტორი — არქიმანდრიტი **ბენიამინი,** ინსპექტორი მღვდელმონაზონი **ნიკანდრი;** მასწავლებლები: მღვდელი **ალექსანდრ ვერბიტსკი, ვლადიმირ ტრელინი, ვასილი ვოსკრესენსკი, დიმიტრი ლებედევი, დიმიტრი ნიკულიჩევი კონსტანტინ დობროლოვსკი, მელიტონ ჩოგოვაძე, კორნელი მაღრაძე, რაჟდენ ხუნდაძე.** სემინარიის ექიმი იყო მიხეილ ძნელაძე.

**3. თბილისის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი —**სამოილ პაშკევიჩი;**

**4. გორის სასულიერო სასწალვებელი:** ზედამხედველი — **მიხაილ დობრონრავოვი;**

**5. თელავის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი — **პაველ სოგინი.**

**6. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი —**ალექსანდრ როჟდესტვენსკი;**

**7. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი:** ზედამხედველი — **ვასილი ვასილიევი;**

**8. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი**: ზედამხედველი — **არქიმანდრიტი გიორგი;**

**7. ქალთა სასწავლებლები საქართველოში.**1902 წლისათვის საქართველოში ქალთა შემდეგი სასწავლებლები არსებობდა:

**1. თბილისის ქალთა ინსტიტუტი** (დაარსდა 1840 წელს)—ზედამხედველი ანა პოპოვა, ინსპექტორი —**პაველ მელლერი;**

**2. თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია** (დაარსდა 1865 წელს)—დირექტორი **კონსტანტინ შულგინი,** ზედამხედველი— **მაგდალინა კლაუსი;**

**3. თბილისის ქალთა მეორე გიმნაზია** (დაარსდა 1891 წელს) — დირექტორი **ფრიდრიჰ კრეისბერგი,** ზედამხედველი — **მარია გორშკოვა;**

**4. თბილისის ქალთა მესამე გიმნაზია** (დაარსდა 1894 წელს) — დირექტორი **ალექსანდრ ბოგოიავლენსკი,** ზედამხედველი — **ვილჰელმინა სტრუვე;**

**5. თბილისის ეპარქიის ქალთა სასწავლებელი** (დაარსდა 1870 წელს), უფროსი —**ნადეჟდა ტროფიმოვა, ინსპექტორი — იპოლიტოვი;**

**6. ბათუმის ქალთა გიმნაზია** (დაარსდა 1900 წელს)— დირექტორი **სტოიანოვი,** ზედამხედველი **ნადეჟდა ტიბლენი;**

**7. გორის ანასტასიას სახელობის ქალთა პროგიმნაზია** (დაარსდა 1881 წელს)—ზედამხედველი **მარიამ მაყაშვილი;**

**8. სოხუმის ქალთა პროგიმნაზია** (დაარსდა 1870 წელს) — ზედამხედველი **ოლიმპიადა ლუბჩენკო,** ინსპექტორი **გეორგ სიდოროვი;**

**9. ფოთის ქალთა სასწავლებელი** (დაარსდა 1884 წელს)— ზედამხედველი **ანა სოკოლოვსკაია;**

**10. ბათუმის ქალთა სასწავლებელი**(დაარსდა 1862 წელს)— ზედამხედველი **მარია გრიუნერი;**

**11. ოზურგეთის ქალთა სასწავლებელი** (დაარსდა 1882 წელს)— ზედამხედველის თანამდებობა — ვაკანტური;

**12. ხონის ქალთა სასწავლებელი** —ზედამხედველი **ანასტასია ვასილიევა;**

**13. სიღნაღის ქალთა სასწავლებელი** —ზედამხედველი **ელიზავეტა ტურსკაია.**

1902 წლისათვის წმინდა ნინოს საქველმოქმედი საზოგადოებას გახსნილი ჰქონდა შემდეგი საქალაქო სასწავლებლები:

**1. თბილისის წმ.ნინოს ქალთა სასწავლებელი**(გაიხსნა 1854 წელს), გიმნაზიის სტატუსი მიიღო 1883 წელს— ზედამხედველი **ანა შახოვსკაია,** ინსპექტორი **ივან კრუპენიკოვი;**

**2. ქუთაისის წმ.ნინოს ქალთა სასაწავლებელი** (1889 წელს გიმნაზიის სტატუსი მიიღო)—ზედამხედველის თანამდებობა — ვაკანტური, ინსპექტორი **ალექსანდრ კოლიაკოვსკი;**

**3. თელავის წმ.ნინოს ქალთა სასწავლებელი**— ზედამხედველი **ალექსანდრა ფონ კრატი;**

**4. ზაქათალის ქალთა სასწავლებელი**(გაიხსნა 1885 წელს)—ზედამხედველი **ქეთევან წინამძღვრიშვილი;**

**5. ამიერკავკასიის საბებიო ინსტიტუტი** —ზედამხედველი **ფიშერი.**

**ვახტანგ გურული,**

საქართველოს ახალი ისტორია, ტ.3. გვ .90-95

# ანზორ ერქომაიშვილის 80 წლისთავი მთელმა საქართველომ იზეიმა!



ქართული სიმღერის ფონო-ჩანაწერის მოძიება და დაარქივება, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ინაშვილის, ნიკო ქუმსიაშვილის, სანდრო კავსაძის, მარო თარხნიშვილის და სხვა ცნობილი მომღერლებისა და ლოტბარების ჩანაწერების აღდგენა და გამოცემა.

2019 წელს, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" ფინანსური ხელშეწყობით, გამოიცა ანზორ ერქომაიშვილის სამეცნიერო ნაშრომის ინგლისურენოვანი სამტომეული: „საქართველო. ისტორია. კულტურა. ეთნოგრაფია", რომლის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 2010 წელს დაებადათ ამერიკული საგამომცემლო სახლის „**Nova Science**"-ის პრეზიდენტს ფრენკ კოლუმბუსსა და მის მეუღლეს, ნადია გოცირიძე-კოლუმბუსს. მათ დააფინანსეს წიგნების მაღალპოლ-იგრაფიულ დონეზე გამოცემა, ხოლო უმთავრესი ნაწილი, ანუ 1901 წლიდან დღემდე ჩაწერილი უნიკალური ქართული ხალხური სიმღერების, საგალობლების, საკრავიერი მუსიკისა და ხალხური ცეკვების 2491 ნიმუშის მოძიება, ფოტო, ვიზუალური, აუდიო და ვიდეო მასალის აღდგენა-გასუფთავება, ორიგინალური მასალების დამზადება, ნაშრომების შექმნა, რედაქტირება, ინგლისურ ენაზე თარგმნა და სხვა სამუშაოები ფინანსურად უზრუნველყო საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ" და ბიძინა ივანიშვილმა. სამტომეულში ასევე შევიდა ნაშრომები სამუსიკო ფოლკლორისა და საეკლესიო მუსიკის, არქეოლოგიის, არქიტექტურის, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ...

რასაკვირველია, ეს მცირე ნაწილია მისი დიდი ნაღვაწიდან.

ბატონ ანზორს იუბილე მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა, ქალბატონმა **სალომე ზურაბიშვილმა,** რომელმაც თავის საკმაოდ ვრცელ ადრესში საფრანგეთში წლების წინათ დღევანდელ იუბილართან გულთბილი და საქმიანი შეხვედრის რამდენიმე საინტერესო დეტალიც ჩადო. საფრანგეთში. წინა დღით, ბატონი ანზორი ლანჩხუთში ბრწყინვალების ორდენით რომ დააჯილდოვა, ეს უკვე თავშივე ვთქვით.

ბატონ ანზორ ერქომაიშვილს მიესალმა და საქართველოს საკანონდებლო ხელისუფლების სახელით იუბილე მიულოცა საქართველოს პარლამენტის თავმ-ჯდომარემ **არჩილ თალაკვაძემ** . იუმორით ის შეგონებაც გაახსენა, იუბილარმა ბავშვობისას რომ უთხრა: „*არჩილ, კარგია, რო გაქებენ, მაგრამ დამიჯერე, ცუდიაო*".

„*ბატონი ანზორის უდიდესი დამსახურების აღსანიშნავად, საქართვე-ლოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაფუძნდება ბატონი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სტიპენდია, რომელიც ტრადიციული მუსიკის კვლევის დარგში საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტს გადაეცემა,*" - თქვა თავის ვრცელ გამოსვლაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ჩხენკელმა,** რომელმაც ანზორ ერქომაიშვილს იუბილე მიულოცა და შემოქმედებითი წარმატება უსურვა.

„*ასევე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი ანზორი განსაკუთრებუ-ლად გამორჩეული და ღირსეული ოჯახის წარმომადგენელია. მასში არის ცოცხალი ის განსაკუთრებული ქართული გენი, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ ფოლკლორს. ბატონ ანზორში ცოცხალია მისი ბაბუის, არტემ ერქ-ომაიშვილის გენი და მე მინდა გაცნობოთ, რომ ბატონი არტემის მშობლიურ სოფელში, მაკვანეთში, ჩვენი სამინისტროს გადაწყვეტილებით, საჯარო სკოლას მიენიჭება ბატონ არტემ ერქომაიშვილის სახელი. ამ შესანიშნავ სკოლაში წელსვე დაიწყება სრული რეაბილიტაცია და ძალიან მალე, უკვე არტემ ერქომაიშვილის სახელობის სკოლაში ბავშვებს შეეძლებათ თანამედროვე გარემოში მიიღონ განათლება*", - დასძინა მინისტრმა"

მიხეილ ჩხენკელმა ისაუბრა ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ კრებულზე „საქართველო. ისტორია. კულტურა. ეთნოგრაფია". აღნიშნა, რომ ეს არის უნიკალური სამეცნიერო ნაშრომი ინგლისურ ენაზე, რომელიც ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობით, ფონდ „ქართუს" დაფინანსებითა და ამერიკული საგამომცემლო კომპანია „**NOVA SCIENCE**"-ის მხარდაჭერით გამოიცა. მინისტრის თქმით, სამტომეულის წყალობით მსოფლიო საქართველოს აღმოაჩენს, როგორც უმდიდრესი კულტურის, ისტორიისა და ევროპული ფასეულობების ქვეყანას.

„*აქ ბევრი ითქვა ბატონი ანზორის დამსახურებაზე. ერქომაიშვილების სკოლის დამსახურებაა, რომ დღეს გურიაში არის ფოლკორის ცენტრის წარმომადგენლობა, არის ამდენი ლოტბარი, გვყავს გურულ სიმღერებზე შეყვარებული ახალგაზრდები, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ თქვენგან გაკვალულ გზას. მადლობა თქვენს დიდ გვარსა და თქვენ ამ რუდუნებისთვის, სიყვარულისთვის, თავგანწირვისთვის, რამეთუ იყო დრო ქვეყანაში, როცა ამ კეთილ საქმეს მხარდამჭერი თითქმის არ ჰყავდა. თქვენი კეთილშობილებით, თავდაუზოგავობით, პროფესიონალიზმითა და საქმისადმი შესაშური ერთგულებით შეძელით, რომ დრეს ქართული ფოლკლორი მსოფლიოს აოცებს თავისი უნიკალურობით. გურულებს კი განსა-კუთრებულად გვეამაყება, რომ შვიდხმიანი პოლიფონია გვაქვს*", - უთხრა იუბილარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

ანზორ ერქომაიშვილის 80 წლის იუბილეზე ქართული ტრადიციული სიმღერები შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავი", ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანი", მესტიის ანსამბლმა „რიჰო", კახეთის ანსამბლმა „შილდა", გალობის უნივერსიტეტის გოგონათა გუნდმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბერმუხა" აჭარიდან, მგალობელ-მომღერალთა ანსამბლმა „შემოქმედი" და გურულმა ტრიომ „შალვა ჩემო". ასევე, გამოიფინა ანზორ ერქომაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოარქივი.

ღონისძიება საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის", საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა.



# იაპონელების მილოცვა



**ქვირფასო ანზორ-სენსეი,**

უაღრესად მოხარული ვარ, მოგილოცოთ თქვენი 80 წლის იუბილე, რომელსაც 10 აგვისტოს აღნიშნავთ. გილოცავთ, მრავალს დაესწარით მუდამ ჯანმრთელი და გახარებული! „იამაშიროგუმის" გუნდის უკლებლივ ყველა წევრის სახელით, რომლებიც მოხიბლული არიან ქართული პოლიფონიით და „იამაშიროგუმის" არსებობის მანძილზე დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს, მსურს გამოვხატო ჩვენი უგულითადესი კეთილგანწყობა და გისურვოთ ყოველივე საუკეთესო.

მთელი თქვენი მოღვაწეობის მანძილზე, თქვენ სახელდახელოდ მოიძიეთ და აღადგინეთ, ახალი სიცოცხლე აჩუქეთ ხელოვნებას, რომელიც ახლის, ინოვაციურისა და ტრადიციულის ჰარმონიულ ნაზავს წარმოადგენს, ხელოვნებას, რომელიც ქართველი კაცის ეროვნული იდენტობის, ეთნიკური კულტურის სულ მცირე ორიათასწლოვანი ისტორიით არის გაჯერებული. ისტორიული მნიშვნელობის ჩანაწერების მოძიებისა და წინაპარ დიდებულ მომღერალთა ნაამბობით, რომელთაც წინაპართაგან ზეპირსიტყვიერი გადმოცემით მიიღეს მივიწყებულ სიმღერათა უნიკალური ცოდნა, საუნჯე, თქვენ მოახერხეთ ამ დიდებული ხელოვნებისთვის სულის ხელახლა შთაბერვა და დღევანდელ დღემდე მოტანა. სწორედ თქვენი დამსახურებაა ასევე ამ კუთხით სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება.

უფრო მეტიც, თქვენ თავად ბრძანდებით ბრწყინვალე მომღერალი და ხელმძღვანელი. ჩემი ღრმა რწმენით, მსოფლიოში ვერავინ შეძლებდა ასე სრულად და საფუძვლიანად, ესოდენ ღირსეულად გაერთვა თავი ამ დიადი საქმისთვის. თქვენი თავდაუზოგავი ძალისხმევისა და მიღწევების გარეშე, ქართულ პოლიფონიას ვერასოდეს მიაკუთვნებდნენ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს.

1969 წელს საქართველოში პირველად მომიწია პოლიფონიურ სიმღერასთან ზიარება. იმ დროს ანზორ-სენსეი 30 წლამდე ასაკის თუ იქნებოდა. ისე მოხდა, რომ სრულიად შემთხვევით იაპონურ რადიოგადაცემაში „დიამბეგოს" მოვუსმინე, რომელმაც თავისი სიღრმისეული ჟღერადობით წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ჩემთვის, საგუნდო ხელოვნების დარგში ახალ შესაძლებლობათა მაძიებელ ახალბედასთვის, ეს ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ, რამაც თვალი ამიხილა და სრულიად ახალი ჰორიზონტი დამანახა. იმ დღიდან მოყოლებული, რომელმაც რევოლუცია მოახდინა ჩემს ცხოვრებაში, ჩემი აღფრთოვანება დღითიდღე ძლიერდებოდა.

დიდი სიამოვნებით ვიხსენებ 1976 წელს ჩვენს მიერ გამოცემულ ალბომს, რომელშიც „ხასანბეგურა" შედიოდა გუნდ „იამაშიროგუმის" შესრულებით. მახსოვს როგორ გადავეცით ანზორ-სენსეის და ბ-ნ სოსო ჩხეიძეს, ცნობილ კინორეჟისორს აღნიშნული ალბომი. სწორედ ამ ალბომმა გადააწყვეტინათ მათ გადმოელახათ მთელი ოკეანე და 1986 წელს იაპონიაში ჩამობრძანებულიყვნენ. სწორედ მაშინ დაიწყო საქართველოსა და იაპონიას შორის ქართული პოლიფონიის მეშვეობით კულტურული გამოცდილების ურთიერთგაცვლის ესოდენ ხანგრძლივი ისტორია.

აღნიშნული ფასეული გამოცდილების ურთიერთგაზიარება დღემდე გრძელდება და სულ ბოლოს, 2018 წელს, უაღრესად მოხარულები გახლდით პირადად თქვენთვის და ანსამბლ „რუსთავის" წევრებისთვის გვემასპინძლა იაპონიაში საკონცერტო გასტროლის ფარგლებში. არასოდეს დამავიწყდება ოჯახურ სიმყუდროვეში, ტოკიოში იაპონიის ერთ-ერთ ყველაზე პატარა და მყუდრო რესტორანში გატარებული საღამო. იმ დღეს წარმოთქმული სადღეგრძელოები, საუბრები და ერთობლივად ნამღერი, სამუდამოდ დარჩება ჩემს გულსა და გონებაში.

ანზორ-სენსეიზე შვიდი წლით უფროსი* გახლავართ და მიუხედავად ამისა, დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით ვარ ჩაბმული მუსიკალური შემოქმედებისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში. მთელი გულით გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას და იმედს ვიტოვებ, რომ შემდგომშიც მრავლად ვიხილავთ თქვენს შემოქმედებითად დატვირთულ მოღვაწეობას მთელს მსოფლიოში საქართველოს დიდებული კულტურის გავრცელების კუთხით. ადამიანის ჭეშმარიტი ნეტარება ქართულ პოლიფონიურ სიმღერაში მდგომარეობს. ღრმად მწამს, რომ ამაში კიდევ არაერთხელ დაარწმუნებთ მსოფლიოს.

ჩვენი მარადიული მეგობრობისა და ანზორ-სენსეის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სახელით, გაუმარჯოს!

**სოჯი იამაშირო**
**გუნდ „იამაშიროგუმის" წევრები**

საგულისხმოა, რომ მილოცვის წერილის ამ ნაწილში, სოჯი იამაშირო სიტყვა „ოლდერ"-ის ნაცვლად იყენებს სიტყვა „ელდერ"-ს, რაც მხოლოდ ოჯახის წევრებთან მიმართებაში გამოიყენება და ამ შემთხვევაში უმაღლესი პატივის გამომხატველია!

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +15+21 | მზე, ღრუბელი +16+23 | წვიმა +16+23 | მზე, ღრუბელი +19+27 | ღრუბელი +16+24 | მცირე წვიმა +15+23 | მცირე წვიმა +15+21 |
| 17 აგვისტო ორშაბათი | 18 აგვისტო სამშაბათი | 19 აგვისტო ოთხშაბათი | 20 აგვისტო ხუთშაბათი | 21 აგვისტო პარასკევი | 22 აგვისტო შაბათი | 23 აგვისტო კვირა |